ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 449

"13" სექტემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. №47-ის მიმდებარედ არსებული 133 კვ.მ .მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.035.580) და 221 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.035.581) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ყაზბეგის 47"-ისთვის (ს/ნ. 204538599) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი №47-ის მიმდებარედ არსებული 133 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.035.580) და 221 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.035.581) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ყაზბეგის 47"-ისთვის (ს/ნ. 204538599) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 21 აგვისტოს №24.1436.1629 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. №47-ის მიმდებარედ არსებული 133 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.035.580) და 221 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.03.035.581) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ყაზბეგის 47"-ისთვის (ს/ნ. 204538599) გამწვანების და კეთილმოწყობის მიზნით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთების საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასური - 21240 (ოცდაერთი ათას ორას ორმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე